

1964

№ 14

თბილისი

ივლისი

1964

# ნიუნჯი

ქართული  
ბიბლიოთეკა

პანოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კაპ.



— გაბონო ივლიძე, აქეთ მოგზავნდით, თავში არაფერი  
დაგვეცეთ და დამოვიდებულად შევადგინოთ აქტი სახლის რეკონსტრუქციის  
დაგეგვრების შესახებ.

ნახ. თ. ჯიშკარიანი



# საქონლად ქვეული სინდისი

ცნობილია — საქონელი არის ის, რაც იყიდება ბაზარზე. მაგალითად, საქონელია ფრ-  
ბო და ყველი, ფეხსაცმელი და ტანსაცმე-  
ლი. საქონელი თვალწინაა, აქვს ფორმა,  
სუნი, გემო. ყველა საქონელს აქვს თავისი  
ხარისხი და ფასი, მაგრამ არის თვალთ  
დაუნახავი საქონელიც, რომელსაც არც  
ფორმა, არც სუნი და არც გემო არ გააჩ-  
ნია. იგი ხარისხის გარეშე და ფასი განუ-  
ზომელი აქვს. სწორედ ამ საქონლით დაი-  
წყო ვაჭრობა შოთა ჩაჩანიძემ ახალციხის  
რაიონის შემახტეთა დასახლება ვალში.

— ერთი „ვილისი“ მამოვინა და მერე  
ზომეკა. — ნაღვლიანად თქვა შაქრო ხი-  
თაროვმა და მგლოვიარესავით გულ-ხელი  
დაიკრიფა, შოთა ჩაჩანიძემ კი წამში აწონ-  
დაწონა მომავალი გემო და საძირკვლის  
გათხრა დაიწყო.

— მერე და ვე გადარდებ! შენი ხმალი  
და ჩემი კისერი, მაშ რად გინდა ძმაკაცი!

— როგორ?  
— ჩემი ნაცნობი ყიდის „ვილისს“, თუ  
გინდა, დღესვე ვეტყვი, მაგრამ მანქანის ტა-  
რების უფლება თუ გაქვს?

— ტარება ვიცი, უფლება კი არა მაქვს.  
— ესეც მოგვარდება.

მეორე დღეს შოთამ შაქროს მანქანის  
პასპორტი აუფრიალა თვალბუნთან.

— გაფორმებინადა რიი ათასი.  
შეწუსდა შაქრო, ამ წუთში 930 მანეთის  
მეტი არა მაქვსო — სთქვა.

— არა უშავს, — დაამიუდა ჩაჩანიძემ,  
— ნაცნობი მენდობა, შოთას არც კი და-  
უთვლია ფული, ისე ჩაუძახა ჯიბეში.

ჩაჩანიძე ასლა მარკოზ ჩიტაშვილს წა-  
რუდგა.

— მაშ სახლი ააშენე და თუნუქი არა  
გაქვს? ცოტა რამე გკლებია! მერე და აქამ-  
დე სად იყავი, მეგობრებში დიდი  
ავტორიტეტი მაქვს, მოგიხერხებ. აბა ერთი  
აზომე სახურავი?

მარკოზი სახურავს მოველო თავს და  
აზომა, საჭირო თუნუქის რაოდენობა გაიან-  
გარიშეს და მერე ფულზე გადაიყვანეს.

— ას ოთხმოცდაერთი მანეთი დაჯდება.  
გახარებულმა ჩიტაშვილმა ვაჭრობის ვა-  
რეზე გადაუთვალა ჩაჩანიძეს ფული.

შოთამ თავისი „მოღვაწეობა“ სოფელ  
ურვალშიც გადაიტანა და ქორივით დააცხ-  
რა ვლადიმერ ალლუმაშვილს.

— ფინური სახლი გინდა? ნაცნო-  
ბებში დიდი ავტორიტეტი მაქვს. იქ შე-  
იძლება შოენა. მეონი სულ ორი სახლია  
დარჩენილი. ფული სასწრაფოდაა საჭირო.

— ახლა სულ 140 მანეთი მაქვს.

— ჯანდაბას, მომეცი, დანარჩენი მერე  
იყოს.

... და შოთამ უჩინაჩინის ქუდი დაიხუ-  
რა... შეწუხდნენ „კლიენტები“ და ჭირის-  
უფლები, ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა  
ჩაჩანიძის ამბავი: თავისი ცოლის მეგო-  
ბარს ტასო მანველოვას ცოლისძმა მიუგზა-  
ვნა წერილით: „საქმე ცუდად მაქვს, 25  
წლის ცინე მომელის, სასწრაფოდ 260 მან-  
ეთი მჭირდება, მე რომ შენი დობილის  
ქმარი ვარ“. დატრილდა ტასო მეზობელ-  
მოკეთებელში და ფული დობილის ქმარს გა-  
უგზავნა. ასე გააცურა დობილის ქმარმა  
ტასო მანველოვამ.

ცნობილია — საქონელი არის ის, რაც  
ბაზარზე იყიდება, მაგრამ ვინც სინდისს  
საქონლად აქცევს და ბაზარზე გაიტანს,  
კანონით ისჯება.

3. ხმალაქე.



რუსთაველის პროსპექტს არ ვზორდებით  
და ჭადრაკის დაფაც, ალბათ, ამიტომ აქ და-  
ვიზატეს!

## ღიალოგი სახლმმართველთან

ნახ. მ. აბაშიძისა



— თქვენთან განცხადება შემოვიტანეთ  
ჩვენი სახლის სახურავის შეკეთებაზე!  
— შემოდგომაზე შევამოწმებთ წვიმების  
დროს და ზამთარში პასუხს გაცნობებთ!

# აკანელი „შემოქმედებითი ქრახი“

ტრისტან ავაზნელმა სიბრავისაგან გაზე-  
თი მუჭში მოიჭყია.

— იღბლის თაიგული, „ვოლგა“ მოუგია,  
რა იქნებოდა, მე მომეგო ან „ვოლგა“ ან  
„მოსკვიჩი“, ან თუნდაც „ზაპოროჟეცი“.  
თუმც... ტრისტანს მაცდურმა აზრმა გაურ-  
ბინა. სამხატვრო აკადემიაში ტყუილად  
ესწავლობ? რა უნდა ნომრის გადასწორე-  
ბას და დაიწყო ავაზნელმა პირველი შემო-  
ქმედებითი ნაბიჯის გადადგმა. ბევრი ოფ-  
ლი მოიწურა, მაგრამ ამაოდ, რიცხვის გე-  
დაკეთება ვერაფრით ვერ მოახერხა. ასლა  
მეორე ვარიანტი სცადა: გადაკეთების ნაც-  
ვლად, მისთვის საჭირო ციფრი ამოკვეთა  
და ბილეთის ნომერში ჩააწება, მალე ხელი  
ისე გაიწაფა, რომ თვითონაც ვერ არჩევდა  
ნამდვილსა და ყალბ ლატარიის ბილეთს  
ერთი მეორისაგან.

— დიდი მოგება საშიშია, სალაროში  
გულდასმით ამოწმებენ, ათმანეთიან მოგე-  
ბას კი ისე გადმოგიგდებენ, გგებობა, მო-  
ტულეუბით აქეთო. ბოლოს და ბოლოს,  
მილიონიც სომ კაპუკებისაგან შედგება,  
„მორსმჭვრეტელურად“ განსაზღვრა ტრის-  
ტანმა. ავაზნელმა ორმოცამდე ყალბი ბი-  
ლეთი დაამზადა. დადა ბილეთების რეა-  
ლიზაციის დრო.

ტრისტანი მორიდებულად შევიდა გო-  
რის ცენტრალურ შემნახველ სალაროში და  
ასევე მორიდებულად გადასცა ლატარიის  
ბილეთი მოლარეს. ერთი წუთი ერთ საა-  
თად მოეჩვენა, დღეავდა, ბოლოს მოლა-  
რემ თუმნაინი გადააწოდა ტრისტანს. ავაზ-  
ნელს აკადემიაში მოხვედრა არ გახარებია  
ისე, როგორც ეს წარმატება. მეორე დღეს  
გორის სხვა შემნახველ სალაროებს ესტუმ-  
რა ტრისტანი, შემდეგ კი ბავშვები შეგზა-  
ვნა სალაროში, აქაც გაუმართლა.

მაგრამ ერთ დღეს გორის ცენტრალურ  
შემსალაროში ბევრთად გასინჯეს ბილეთი  
და ავაზნელის შეგზავნილმა ბავშვმა სირ-  
ბილით უშველა თავს. მიხვდა ტრისტანი,  
რომ გორში უკვე შეუქმლებელი იყო „შემო-  
ქმედების“ გაგრძელება და თბილისში გა-  
დაიტანა სამოქმედო ასპარეზი. ავაზნელის  
„შემოქმედებას“ უხვად გაუჩნდნენ მუსტ-  
რები თბილისის 26 კომისრის სახელობის,  
ორჯონიკიძის სახელობის რაიონების შემნა-  
ხველ სალაროებში, ტრისტანმა არც რკი-  
ნიგზის სადგურის შემნახველი სალარო და-  
ტოვა გულნაკულად.

იყო „შემოქმედებითი ჩაფარდებები“ მაგ-  
რამ ავაზნელი ახერხებდა აეცდინა რისხვა,  
იმის წყალობით, რომ იგი მუდამ სხვას აგ-  
ზავნიდა სალაროში.

ტრისტან ავაზნელი ისევე გორს ეწვია და  
პირადად თვითონ წარადგინა „იღბლიანი  
ბილეთი“, მაგრამ გატყდა კოკა და ტრის-  
ტანის „შემოქმედებითი საიდუმლოს“ ფარ-  
და აეხადა.

ახლა საკითხავი ესაა — რამ მიიყვანა  
ტრისტან ავაზნელი ამ გზამდევ, შეიძლება  
შრავალი მიზეზი დავასახელოთ, მაგრამ  
ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი შემნახველი  
სალაროების ზოგიერთი მუშაკის სიბე-  
ცეა, სხვათა შორის ამ აზრს ავაზნელიც  
ეთანხმება.

3. ნიკოლოზიშვილი.





# ახალი სახელის დაწესება „არტელი“

საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
საზღვაო  
საზღვაო  
საზღვაო

საავტოროდ მოიქმნება საბადურის ქუჩა №3-ში მცხოვრები არკადი (არტაშა) ვასილის ძე რევაზოვი და ჩუმ-ჩუმად დაემუქრა მეზობლებს: მე არკადი არ ვყოფილვარ, თუ დედა არ გიტყვით და უტყვია.

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“-ო და არკადისაც ავი სიტყვა საკუთარ ცოლ-შვილს ერჩია.

იცოდა არკადი, მშვენივრად იცოდა, ნარი რომ მოგლიჯო, ხელი დაგვესუსება და, ამიტომაც ნარის სხვისი ხელით გლეჯა არჩია. რომელი იმპერატორების დევიზი იყო: გაყავი და იმეფო, ხოლო არკადი რევაზოვისა: ერთმანეთს გადაამტყრე და სვირს უყურო. მართო მოქმედება რისკთან იყო დაკავშირებული და არკადიმაც „არტელი“ ჩამოაყალიბა — ანონიმთა „არტელი“.

ჩამოაყალიბა და ჩაუდგა სათავეში.

კანტორა არ გაუსხნია და აბრა არ გაუკრავს, მაგრამ არტაშას „არტელი“ მოქმედებდა და მოქმედებდა.

არტაშას „არტელმა“ მიზანში საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორა ამოიღო, რადგანაც მასში არტაშას მეზობელი ვახტანგ სიმონის ძე ბაბილაშვილი მსახურობდა მძღოლად და მიიტანა იერიში.

ჭამა-ყლაპვის უზომოდ მოყვარული ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მიქაძე დაიანხლოვა, ხან ერთ ლიტრ ღვინოს დაუდგამდა, ხან ნახევარ ლიტრ „ნარინჯოვანს“ ახუხებდა და აწერინებდა, რაც მის სულსა და გულს მოეპრიანებოდა.

ვლადიმერ ვლადიმერის ძე თვითონაც არ გამოირჩეოდა დიდი ჰუმანურობით და, ამიტომაც, ხელი არ უკანკალებდა, როცა არკადი ვასილის ძის ავი სიტყვა ხორცმესხმულად გადააქონდა ქაღალდზე. არტაშას „არტელს“ მთარგმნელიც ესაჭიროებოდა, რათა „არტელის“ ნახელავი ერთი მუჭა საქართველოს ფარგლებს გასცილებოდა და არტაშას არჩევანი თხუთმეტი წლის ჯულიეტა მიხეილის ასულ ნიკოვსოვასზე შეჩერდა: რუსული კარგად იცის, ჩემთან შინაურულადაა და რა შვილია, არ გამომადგესო.

ჰოდა დაიწყო:

არტაშას არტელი ანონიმური წერილების ბადეში ახვევდა ელგუჯა ირაკლის ძე ბოლქვაძეს — საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს, იმავე კანტორის მთავარ ბუღალტერ გრიგოლ კაისარის ძე კვასხაძეს, საბადურის ქუჩა № 5-ში მცხოვრებ სამსონ ნიკოლოზის ძე ნაცვლიშვილს და მის ძმას სიმონ ნიკოლოზის ძეს — მცხოვრებს საგარეჯოში (ჭავჭავაძის, 23), საბადურის ქ. № 5-ში მცხოვრებ საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს ვახტანგ სიმონის ძე ბაბილაშვილს და მათ ოჯახებს. რევაზოს და მის „არტელს“ განსაკუთრებული იერიშის ობიექტად საბადურის ქ. № 5-ის ბინადარი ვასილ სერგოს ძე პანენკო ჰყავდათ ამორჩეული. არტაშას ძველი წყენა ჩარჩენოდა გულში და ახლა, მისი აზრით, სამაგიეროს გადახდის ხელსაყრელი ჟამი დამდგარიყო.

ცილისმწამებლური უსახელო განცხადებები იგზავნებოდა პარტიულ, საბჭოთა და საგამომძიებლო ორგანოებში, საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორის ხელმძღვანელებზე ვითომ ავტოსატრანსპორტო კანტორის სხვა მუშაკები ჩიოდნენ, ათვალწუნებული მეზობლები თითქოს ერთი მეორეს უწერდნენ საჩივარს, ამგვარად იმდგროვდა წყალი, მეზობლები მოსაკლავად მიიწვედნენ ერთი მეორეს, დგებოდა კომისიები, იწყებოდა ამა თუ იმ ცილისმწამებლური ბრალდების გამოკვლევა, ცდებოდნენ პარტიული, საბჭოთა და საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები, „საქმის“ გარშემო დასაკითხი საბჭოთა მოქალაქეები, იხარჯებოდა დრო, ქაღალდი, მელანი და, რაც მთავარია და მნიშვნელოვანი, იცვითებოდა ადამიანების ნერვები. დიას, ასე იმდგროვდა წყალი და მასში ორაგულს მხოლოდ საბადურის ქ. № 3-ში მცხოვრები არკადი რევაზოვი იჭერდა უბადოდ და უბადლოდ. ხითხითებდა რევაზოვი, ზეიმობდა, ცას ეწეოდა, გულს იფხანდა, ავჭიას ახარებდა, ვლადიმერ ვლადიმერის ძე არაყს წრუპავდა და სიხარულით მეშვიდე ცას ეწეოდა. და ეს მაშინ, როცა კომისიების გულმოდგინე და კეთილსინდისიერი კვლევა უშედეგოდ რჩებოდა — არც ერთი ბრალდება არ უმტკიცდებოდათ უდანაშაულო დამნაშავეებს.

იქნება გგონიათ ამით ჩადგებოდა ქარი და გრივალი. არა, ახლა უარესი ამოვარდებოდა. ახლა კიდევ უფრო ხურდებოდა მუშაობა არტაშას „არტელში“. დგებოდა ანონიმური წერილები კორიანტელი, ისევ და ისევ უჩიოდნენ იმათ, ვისაც ადრე უჩიოდნენ და უჩიოდნენ კომისიის წევრებსაც, ესაო და კეთილსინდისიერად არ იკვლიესო, ჯიბეები აღებული ქრთამებით ამოიტენესო, მათი ადგილი იქ არ არის, სადაც სხედანო.

არ დატოვეს მიზანში ამოღებულთა ცოლები და ქალიშვილები,

ერთი მეზობლის ცოლი მეორე მეზობელს, რომელიც ბაბუად შეჰფერის, საყვარლად გაუსადეს, მამაშვილური ურთიერთობა ბილწი ცილისწამებით შებლალეს, პატიოსანი მეოჯახე ქალები როსკიპებდა და ქურის ქალებად დასახეს, ერთ-ერთ ათვალისწუნებული მეზობლის მეუღლეს, რომელიც ქარხანაში მუშაობდა, ისიც კი დასწამეს, თავისი დირექტორის საყვარელიაო, თუმცა ცოტა დაუფიქრებლად მოუვიდათ ეს, იმ ქალის დირექტორიც ქალი გახლდათ. ვახტანგ ბაბილაშვილს ანონიმურად უჩივლეს ამა და ამ საგარეჯოელი კოლმეურნის 10 ბატი გაიტანაო მანქანით, დასაკითხავად დაბარებულმა კოლმეურნემ განაცხადა, არც ეს განცხადება დამიწერია, არც ბატები მყოლია არასოდეს და, აბა, თვითონ განსაჯეთ, როცა არა მყოლია, ვინ რას გაიტანდაო.

ერთხელ მილიციაში დარეკა რევაზოვმა ბაბილაშვილმა შაუმთანის ქუჩაზე „ვოლგით“ ბავშვი გაიტანაო. დაიწყო კვლევა-ძიება, მაგრამ, ცხადია, უშედეგოდ; ბაბილაშვილი თბილისში არ იმყოფებოდა მაშინ, „ვოლგაც“ არა ჰყოლია და შაუმთანის ქუჩაზე კი არა, მთელ საქართველოში არც ერთი ბავშვი არ გაუტანიათ იმ დღეს.

ათვალისწუნებულთა ოჯახებში ამ ხუთი წლის მანძილზე არ გამოლეულა სასწრაფო დახმარების მანქანები, „მოჩნუბართა“ გასაზავებლად გამოძახებული მილიციის მუშაკები, საგამომძიებლო ორგანოების თანამშრომლები, სხვადასხვა კომისიები, ფოსტის დამტარებლები, რომლებსაც მოჰქონდათ და მოჰქონდათ ანონიმური წერილები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტელეფონის შესაკეთებლად „გამოძახებული“ მონტიორებიც, თუმცა მათ ტელეფონები არც კი ედგათ.


როცა რევაზოვმა გაიგო, რომ ვახტანგ ბაბილაშვილის ოჯახი კისლოვოდსკში ისვენებდა, მეზობელი ქალის სახელით დეპეშა აფრინა, ვახტანგს ცუდად აქვს საქმე და სასწრაფოდ ჩამოდიო — და აკი ჩამოვიდნენ კიდევ.

ასეთ დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდა არტაშას „არტელი“, შეიძრა და შეწუხდა ცა და ქვეყანა და ამ დაუღლეულ „თავმდაბალ“ უსახელო მოღვაწეთა სახელი, ბოლოს და ბოლოს, მიკვლევულ იქნა — შედგა საქმე, არკადი ვასილის ძე რევაზოვი და ვლადიმერ ვლადიმერის ძე მიქაძე მიცემულ იქნენ პასუხისგებაში, მათმა ნამოღვაწარმა და მასზე წარმოებულმა კვლევამ ჯერჯერობით ექვსი ტომი შეადგინა. აკი ამდენი ჯაფა შეაღია მათი ნაცოდვილარ-ნამოღვაწარის შეკრებას პროკურატურის მუშაკმა გურამ ჯანჯღავამ, მაგრამ არტაშა და ვლადიმერი იარაღ არ ყრიან, ეძებენ მოკავშირეებს, მფარველებს, უნდობლობას უცხადებენ თავიანთი რაიონის სახალხო სასამართლოს, ეძებენ დასაძვრებს.

სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის და კეთილი ნების ადამიანებს სჯერათ: რომ ჭამს სამართალი პურს, რომ რევაზოვს, მიქაძეს და მათ დამქაშებს სათანადო სასჯელს მიუზღავენ და რომ „არტაშას არტელი“ ნაართაშარ-ნართელარად იქცევა ბოლოს და ბოლოს.

ქარაზოტი.

ნახ. ო. ჯოშაბიანი



— თუ ძმა ხარ, როგორ მოეწყვე ამ საწყობში?  
— ჩავაწყვე და ისე!









— შენ ქუჩებს რწყავ, ვხედავ როგორ  
შოჩხრიალებს ცივი წყალი,  
მე ძალიდან გადმოგცქერი  
პირგაშშრალი და საწყალი.

## მოკლე რეა

ეზოში აფიშები სარეცხივით გაკიდეს.  
დიდ ფეხბურთს იმუქრებოდნენ.  
ეზოს უცხოლები, ცოლიანებს ხვდებოდნენ.  
სასპარეზო დღედ, მალაქიას გოგოს კაბა-  
სავით მოკლე შაბათი აერჩიათ.  
ეზოს ოფიციალური შემადგენლობა ოთხი-  
ვით უნაშთოდ შუაზე გაიყო: ცოლიანების  
ცოლები და უცხოლების დედები.  
— გახსოვს ნიორწყალი რომ გადმოგასხი?  
— სარეცხის თოკი რომ გაგიმურე...  
— შენ ძალღს მე ვაჭამე „კალბასიანი“ კარ-  
ბიტი. — ტკბილად იგონებდნენ მწარე წარ-  
სულს ცოლიანების ცოლები.  
— ბურთი არ გოუშვა... სამეზობლოდ ვე-  
ღარავისთან მივალ!...  
— იქნებ მოვანერხო. თუ საშუალება მექ-  
ნა. იქნებ მეორე კვარტალში... უკაცრავად,  
მეორე ტაიში მაინც გაეიტანო. — აიმედებ-  
და ქომავლებს ლევანა სექციონერი.  
— შენ უკანდახეულ ცენტრს ითამაშებ!  
ნახევარდაცვას ადგილკომივით დაეხმარე-  
ბი... შენი ცოლშვილივით არ მიატოვო კარი...  
შენ კი თუ მზიანი იქნა, ჩრდილივით უნდა  
სდიო გაიოხას. — მუთაქასავით ტენიდა მა-  
ლაქია მწვრთნელი ცოლიანებს.  
რეზო მზიასთან სტაბილურად დაიარებაო  
და გულშემატკივრებმა ცოლიანებში ჩაწერეს.  
უცხოლებმა საბუთი კონიაკივით მოითხო-  
ვეს.  
მალაქიას ცოლი იმ საღამოსვე მივლინე-  
ბულ იქნა რეზოს ოჯახში და ხელის მოწე-  
რის პროცესიამ ახალგაზრდების გარეშე ჩაი-  
რა. მაგიდა ეზოში „ლეჟანკებივით“ გაშალეს.  
სიმღერამ ნამუღალამეფს გადაიღო...  
თამაში უამინდობამ ჩაშალა.  
მომავალ შაბათამდე ჩემი ეზო საბოლოო  
აფეთქებამდე დანადრდება.

ჯ. დავლიანიძე.



— ერთი მითხარ, ამ წყალს სიტკბო  
რატომ არ აქვს, მეგობარო?  
— როგორ? წყალი დავატკბო და  
ოჯახი კი გავაშწარო?!  
ჯ. დავლიანიძე.

## ქარაბმული ნაკვეთები

გამეფს ჰკითხეს: საწყობი რომ პირწმინ-  
დად გაეჩუფთავენა, დღეს რევიზიამ მად-  
ლობა რისთვის ჩაგიწერაო და — რევიზია  
კი არა, სანიტარული კომისია იყო.

გარაჟის გამეფს ჰკითხეს: „მოხალტურე“  
შოფრებს რატომ ინახავო და ისინი მე მინა-  
ხავენო.

საავადმყოფოს შესასვლელში ავადმყოფე-  
ბის მნახველებს კარისკაცი პალტოსთან ერ-  
თად ფულსაც ასდევინებდაო.

ბაზრის აღმინიტრატორი აყაყანებულ  
ხალხს სიწყნარისაკენ მოუწოდებდა: გაჩუმ-  
დით, ბაზარში სომ არა ხართო.

ოპერაციამ თქვა: ექიმმა საქმე თუნდაც გა-  
აფუჭოს, მე მაინც გაკეთებულად ვითვლებიო.

ბ. შავერზაშვილი.

თბილისში თუ სიციხე არის,  
მე არც მცხელა და არც მცივა,  
ჩემს კასრიდან ქაფი შოდის,  
ქაფიდან კი ფული ცვივა!



## უნივერსალური მალაქიანი

მეუღლემ თბილისური ლავსა-  
ნის ხალათი მიყიდა. ნეტავ არ  
ეყიდა, ნახა თუ არა ძმაცკმა, ამი-  
ტყდა, გინდა თუ არა, მაჩუქეო.  
რა გაეწყობოდა. გადავწყვიტე მე-  
ყიდა მისთვისაც და უნივერსალუ-  
რი მალაქიისაკენ გავექანდი. მამა-  
კაცის ხალათების განყოფილებაში  
ხალხი შეჯგუფულიყო, ვიხელთე  
თუ არა დრო, გამყიდველს ვანიშ-  
ნე ჩემსკენ წამოსულიყო. შემამჩ-  
ნია, კარგი ნაცნობივით გამიღიმა  
და მანიშნა „თუ ძმა ხარ, დამელო-  
დეო“. მოლოდინში თაროები შე-  
ვათვალეო და ვერსად მსგავსი  
ვერ შევნიშნე, მაგრამ ღიმილი,  
ეს რომ უნივერსალური თბილისუ-  
რი ღიმილი იყო, რომელიც ნუგე-  
შზე მეტს ნიშნავდა. ათი წუთის  
ლოდინის შემდეგ გამყიდველმა  
გვერდზე გამისმო, ლოდინისათ-  
ვის თავაზიანად ბოდიში მომიხა-  
და და ყურში ჩამჩურჩულა:

— თუ ძმა ხარ, მითხარი, სად  
იშოვე ეგ ხალათი, იცი როგორ  
მომწონს?




## ორიგინალური კორწილი

ინგლისელმა ჯონ მერფიმ გადასწყვიტა ორიგინალური ხასიათი მიეცა თავისი ქორწილისათვის და ეკლესიაში, სადაც პატარძალი ელოდებოდა, თვითმფრინავიდან პარაშუტით დაეშვა ორი თანმგლებელი პირით.



## კოლიცია და კუჩხანიჭი


საფრანგეთის პოლიციის პოლკოვნიკმა რობერტმა გამოიგონა ახალი კონსტრუქციის ხელკეტი, რის დახმარებითაც შეიძლება... გრძობაზე მოიყვანო ცემით გულწასული ადამიანი ხელკეტის შუაგულში მოთავსებული სპეციალური აპარატი, რომლის საშუალებითაც შეიძლება დაჭრილს ჩაუტარდეს ხელოვნური სუნთქვა.



## სისულელის რეპორტი

კორნელის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკის შტატი) რამდენიმე სტუდენტი ქალი და ვაჟი დგანან ლიმუზინთან და ენით ლოკავენ რადიატორის კაპოტს, რომელზედაც მურაბაა წასმული.

„თამაშის“ წესის მიხედვით მურაბით დასვრილმა სტუდენტმა ტანსაცმელი უნდა გაიხადოს




## საყოველთაო განიარაღება და „მიჯნური“

დასავლეთ გერმანიის ყოფილი კანცლერი — 88 წლის კონრად ადენაუერი, ამ ბოლო წლებში უამრავ წერილს დებულობდა ქალებისაგან ფოტო-სურათების თანდართვით, სადაც ისინი მას ცლობას სთავაზობდნენ. მაგრამ „მიჯნური“ წერილებს იმ განყოფილების არქივს აბარებდა, სადაც ინახებოდა დოკუმენტები საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.



## საკუთარი არხით

დასავლეთ გერმანიის რეგანსისტები დღე და ღამე ფიქრობენ, თუ როგორ გადაეცალოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. რა საშუალებას არ მიმართავენ ისინი, მაგალითად, სამხედრო შანტაჟს, დიპლომატურ ზრიკებს და სხვას, მაგრამ არაფერი არ გამოუდით. ახლახან თავი „გამოიჩინეს“ დასავლეთ გერმანელმა ჰეკუთხელმა ბანკირებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს რამდენიმე ათეულ მილიარდ მარკად შეისყიდონ (?) აღმოსავლეთი გერმანია.



## მანქანა არ მიიღებს

შვეიცარიის ერთ-ერთ საფინანსო დაწესებულებას საბჭოთა ჟურნალისტები ეწვივნენ, სტუმრები თავზიანად მიიღეს და, როდესაც საქმე ანკეტის შევსებაზე მიდგა, სხვა კითხვებთან ერთად, იმ გრაფას მიაღწენ, სადაც სარწმუნოების შესახებ იყო ლაპარაკი. ამ კითხვაზე ჟურნალისტებმა უპასუხეს, რომ ისინი არავითარ სარწმუნოებას არ აღიარებენ და ათეიტები არიან. დაწესებულების შეფი ამ პასუხზე გააკვირვა და ჟურნალისტებს მიუგო, რომ საანგარიშო-აღმრიცხველი მანქანა, რომელიც ასეთი ანკეტების გადამუშავებას აწარმოებს, არ მიიღებს და უკან დააბრუნებს მასალას, რადგანაც ათეიტის გაგება მანქანაში შეტანილი არ არის.



## კომერცია იტალიურად

კუნძული კაპრი (იტალია) საყრობილის გარეშე დარჩა, რადგან ერთმა საქმოსანმა კუნძულის მუნიციპალიტეტისაგან შეისყიდა შენობა, სადაც... საპყრობილე იყო მოთავსებული. სასამართლოს მეშვეობით მან შენობიდან გამოასახლა როგორც ტუსაღები, ისე მათი დარაჯებიც, რომლებიც დროებით სასამართლოს პალატის შენობის სარდაფებში მოთავსეს.



სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ньянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 17/VII-1964 წ. ქაღ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შვევ. № 1867. უფ. 04495. ტირაჟი 40000



ხუთი წყალქვეშა ნავისაგან შემდგარი ფლოტი, რომელიც აკურვილი იქნება „პოლარისის“ ტიპის რაკეტებით, ინგლისს დაუძღვება ხუთასი მილიონი გირვანქა სტერლინგი.



მომხმე ბავიროთი